თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3912741

ნომერი: AR1584940

თარიღი : 15.03.2018

გაცემის თარიღი : 17.04.2018

გაცნობის თარიღი : 18.04.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

გორგასლის ქ.N 1 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით პეტრიაშვილი პ/ნ 01008036063
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 15 მარტის AR1584940 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის საკითხს.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N14, 05.04,2018 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე თანხმობების გაცემა სცდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს, შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის თაობაზე. ღია სეზონური კაფის განთავსების მოთხოვნით საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.